სიძულვილის ენა წინასაპრეზიდენტო დისკურსში

საპრეზიდენტო არჩევნები 2018



MDF

unag
UN Association of Georgia

სიძულვილის ენა წინასაარჩევნო დისკურსში

საპრეზიდენტო არჩევნები 2018

ავტორი: თინა გოგოლაძე

რედაქტორი: თამარ კინწურაშვილი

მონიტორები: თამარ გაგნიაშვილი, ხატია ლომიძე, მარიამ ცხოვრებაშვილი, სოფო ჩხაიძე.

დიაგრამები და დიზაინი: მარიამ ცუცქირიძე

ანგარიში "სიძულვილის ენის წინასაარჩევნო დისკურსში" მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჩატარებული მედია მონიტორინგის შედეგებს ასახავს. დაკვირვების საგანი იყო სიძულვილის ენა და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაცია, რომელსაც საარჩევნო სუბიექტები და პარტიები გამოხატავდენენ, ასევე კანდიდატებისა და პარტიების მიმართ გამოყენებული სიძულვილის ენა. ანგარიშში მხოლოდ ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის, ასევე ძალადობის წახალისების შემთხვევებია შესული და არა პოლიტიკური ოპონირების ფარგლებში გაკეთებული შეურაცხმყოფელი კომენტარები.

მონიტორინგი 1 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს. მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა როგორც მეინსტრიმული, ასევე ტაბლოიდური მედია და შემდეგ მედია საშუალებებზე ხორციელდებოდა:

- **5 ტელევიზიის საინფორმაციო და ანალიტიკურ გამოშვება:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (მოამბე), რუსთავი 2 (კურიერი, P.S.), იმედი, (ქრონიკა, იმედის კვირა), მაესტრო (საინფორმაციო გამოშვება), და „ობიექტივის“ საინფორმაციო გამოშვება.
- **5 ტელევიზიის თოქ-შოუ:** რუსთავი 2 (არჩევანი), იმედი (პირისპირ), იბერია (თავისუფალი სივრცე) ობიექტივი (ღამის სტუდია, ოქროს კვეთა), კავკასია (ბარიერი, სპექტრი).
- **7 ონლაინ გამოცემა:** საქინფორმი, ნეტგაზეთი, ინტერპრესნიუსი, საქართველო და მსოფლიო, PIA, კვირის პალიტრა, და მარშალპრესი.
- **4 გაზეთი:** რეზონანსი, პრაიმ თაიმი, ასავალ-დასავალი, ალია.

მინიტორინგში ასევე მოხვდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სოციალურ ქსელში გამოვლენილი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა რამდენიმე დისკრიმინაციული განცხადება.

ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

წინასაარჩევნო პერიოდში (1 აგვისტო; 15 ოქტომბერი) სამონიტორინგო მედია საშუალებით ჯამში 117 დისკრიმინაციული განცხადება გაშუქდა, აქედან ყველაზე დიდი წილი (47,9%, 56 კომენტარი) ქსენოფობიურ, მიგრანტების წინააღმდეგ მიმართულ კომენტარებზე მოდის, რომელსაც მოსდევს თურქოფობია (16,2%, 19), ჰომოფობია (14,5%, 17), რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია (10,3%, 12), ძალადობის წახალისება (6,8%, 8), შუღლის გაღვივება (1,7%, 2), გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია (1,7%, 2) და რასიზმი (0,9%, 1)

დიაგრამა 1. სიძულვილის ენის ტიპოლოგია



ყველაზე მეტი დისკრიმინაციული განცხადება (59) პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა გააკეთეს, რომელთაც მცირედით ჩამორჩებიან პრეზიდენტობის კანდიდატები (49), ხოლო კანდიდატებისა და პარტიების მიმართ 11 ასეთი განცხადება გაკეთდა.

მონაცემები წყაროების მიხედვით

1. პრეზიდენტობის კანიდატების მიერ გაკეთებული დისკრიმინაციული განცხადებები

წინასაარჩევნო პერიოდში მედია საშუალებებში პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ გაკეთებული 49 დისკრიმინაციული შინაარსის განცხადება გაშუქდა. ყველაზე მეტი დისკრიმინაციული განცხადება "თავისუფალი საქართველოს" კანდიდატმა კახა კუკავამ[1] (19) გააკეთა, საიდანაც უმეტესობა მიგრანტების წინააღმდეგ იყო მიმართული, თანაბრად იყო წარმოდგენილი თურქოფობიური (3) და ჰომოფობიური (3) კომენტარი და 2 შემთხვევაში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია. მეორე ადგილზეა ლეიბორისტთა ლიდერი შალვა ნათელაშვილი, რომლის 9 კომენტარიდან უმეტესობა (6) ქსენოფობიური იყო, 2 ჰომოფობიური და 1 თურქოფობიური. დამოუკიდებელი კანდიდატის ბესარიონ თედიაშვილის განცხადებები (7) მიგრანტების (5) წინააღმდეგ იყო მიმართული, ასევე თურქოფობიური (2)

[1] „ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა აკაკი ასათიანმა და „ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატმა ვახტანგ გაბუნიამ არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურები კახა კუკავას სასარგებლოდ მოხსნეს.

შინაარსის იყო. სხვა დამოუკიდებელი კანდიდატების - გიორგი ანდრიაძე (5), კახაბერ ჭიჭინაძე (4) და ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის კანდიდატის გელა ხუციშვილის (2) მიერ გაკეთებული განცხადებები შედარებით ნაკლები იყო და ძირითადად ქსენოფობიური ხასიათის. მმართველი პოლიტიკური პარტიის "ქართული ოცნების" მხარდაჭერილი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მხრიდან 2 შემთხვევაში ქსენოფობიურ ნიადაგზე შუღლის გაღვივების შემთხვევა გამოიკვეთა, 1 შემთხვევაში კი მას ადრე გაკეთებული ქსენოფობიური კომენტარი გაუხსენეს.

დიაგრამა 2. სიძულვილის ენა პრეზიდენტობის კანდიდატების და ტიპოლოგიის მიხედვით

1.1. ქსენოფობიური და ანტიმიგრანტული გზავნილები

პრეზიდენტობის კანდიდატების უმეტესობა მიგრანტების წინააღმდეგ იყო მიმართული და შემდეგ ნარატივებს შეიცავდა:

- **მიგრანტების ტალღა საქართველოში ეთნიკური ქართველებს უმცირესობად აქცევს.**
    - **კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო:** „თუ ამ ტემპით გაგრძელდა თბილისში ინდოელების და არაბების და თურქების და ჩინელების ჩამოსახლება, ისევ იქნება იგივე ვითარება, რაც იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართველები აქ იყვნენ ეთნიკური უმცირესობა. ამიტომ ჩემი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელსაც გადავდგამ არჩევის შემთხვევაში პრეზიდენტის პოსტზე, ეს იქნება იმიგრაციის შეზღუდვა (ობიექტივი, საინფორმაციო, 6 ოქტომბერი)“[2].
    - **გელა ხუციშვილი, ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა:** "ის, რაც ხდება დღეს ქვეყანაში, არალეგალური მიგრაციის ტალღა, რომელმაც წალეკა, ქვეყნიდან მოსახლეობის გადინება [გამოიწვია]" (საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 1 ოქტომბერი)[3].
- **მიგრაციის პროცესი საფრთხეს უქმნის საქართველოს, მათ შორის ტერიროზმის:**
    - **კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო :** "ერთ-ერთი ტერორისტი აღმოაჩინეს ბრიუსელში და ორი დღე ვერ შედიოდნენ იმ უბანში, არაბების უბანში... მაინცდამაინც ასე უნდა გაჩნდეს თბილისში და ბათუმში უბნები, სადაც სუყველა იქნება, ზოგი თურქეთიდან და ზოგი არაბული ქვეყნებიდან, სადაც ჩვენი იურისდიქცია საერთოდ არ გავრცელდება და მერე უნდა დავიშინოთ თავში ხელი? (კავკასია, სპექტრი, 22 აგვისტო)[4].
- **ქართულ მიწებს უცხოტომელები ეპატრონებიან.**
    - **შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:** „მსოფლიომ მიწათმოქმედები გვიწოდა და დღეს დააყენეს გზაზე, რომ მიწის დამუშავებაზე აიღოს ხელი გლეხმა, წავიდეს მოსამსახურედ უცხოეთში და სამაგიეროდ, აქაური მიწები ხელში ჩაუვარდეთ უცხოტომელებს“ (რუსთავი 2, კურიერი, 30 აგვისტო)[5].
- **აზიური წარმოშობის მიგრანტები პროსტიტუციას, ნარკომანიას და კრიმინალს გვიქადის.**
    - **გიორგი ანდრიაძე, პრეზიდენტობის კანდიდატი:** „საქართველოში ეძახიან ყველას, ჩამოყავთ, არ დავასახელებ ქვეყანას მარა, ძირითადად აზიური წარმოშობის ტიპები თავისი ჩადრებითა და ასე შემდეგ... გაიარონ ღამის კლუბებზე აღმაშენებელზე და ბათუმში, საქართველოს აქვს სტატუსი აი, ამ ახლომახლო

[2] https://www.myvideo.ge/v/3687103

[3] https://www.myvideo.ge/v/3681769

[4] http://www.myvideo.ge/v/3655897

[5] https://www.myvideo.ge/v/3660555

ქვეყნებში ბარდელის და ნარკოტიკების ქვეყნის და კაზინოსი“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 სექტემბერი)[6].

- **ბესარიონ, თედიაშვილი, პრეზიდენტობის კანდიდატი:** „ვიღაც ბინძური ხალხი აწყობს ჩვენ ქუჩებში და ჩვენ ქალაქებში სექს-ტურიზმის მიმართულებას… და ჩამოყავთ თავისნაირივე ბინძური ხალხი, ბომჟები“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 27 სექტემბერი)[7].
- **კახაბერ ჭიჭინაძე, პრეზიდენტობის კანდიდატი:** „უმეტესად შემოდის, მაგალითად, იცით, ირანში რა სასჯელებია დანაშაულებებზე, გაუპატიურებაზე, ნარკოტიკებთან დაკავშირებით და ასეთი ტალღა წამოვიდა, საშიშროება, რომ ასეთი ტალღა, ანუ კრიმინალური ტალღა წამოვიდეს ჩვენ დემოკრატიულ და ლიბერალურ ქვეყანაში“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი, პრეზიდენტის არჩევნები 2018, 9 ოქტომბერი)[8].

1.2. ქსენოფობია სხვადასხვა ჯგუფების მიმართ

ქსენოფობიური გამოხატვა გარკვეულ შემთხვევებში ასევე მიმართული იყო ჩინელების წინააღმდეგ:

- **შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:** „რუსულ, არაბულ-ირანულ ექსპანსიას დაემატა ჩინური დიქტატურა“ (ასავალ-დასავალი, 15 -21 ოქტომბერი).
- **სალომე ზურაბიშვილი, “ქართული ოცნების” მხარდაჭეტილი კანდიდატი:** "ჩინელები არ კვდებიან. ერთი პირადობის მოწმობით ან პასპორტით სარგებლობს რამდენიმე ადამიანი სანათესავოდან და ვინ გაარჩევს? როცა გგონია რომ ათი შემოვიდა სინამდვილეში 100-მდე შეიძლება იყვნენ". (რუსთავი 2, კურიერი, 4 ოქტომბერი)[9]

“თავისუფალი საქართველოს” პრეზიდენტობის კანდიდატმა კახა კუკავამ ასავე გაავრცელა ყალბი ინფორმაცია,[10] თითქოს განათლების სამინისტრო მავნებლურ პროგრამებს ახორციელებს არაბული დედაენის ლიცენზირების სახით.

[6] https://www.myvideo.ge/v/3668598

[7] https://www.myvideo.ge/v/3679048

[8] https://www.myvideo.ge/v/3688485

[9] https://www.myvideo.ge/v/3684135

[10] http://mythdetector.ge/ka/myth/kakha-kukavas-tquili-titkos-ganatlebis-saministrom-arabuli-dedaenis-avtorizatsia-moakhdina

1.3. თურქოფობია

კანდიდატებმა შემდეგი თურქოფობიული გზავნილები გაავრცელეს:

- **თურქეთს საქართველო აქვს ოკუპირებული.**
  - **შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:** "ზღვის პირი ესე იგი სარფიდან ქობულეთამდე თურქების მიერ არი ოკუპირებული" (იბერია, თავისუფალი სივრცე, 10 სექტემბერი)[11].
  - **გიორგი ანდრიაძე, პრეზიდენტობის კანდიდატი:** „ჩვენ მივეცით თბილისის ქუჩები და ბათუმი ხო მთლიანად თურქეთის რა ვიცი, ყველა ტიპის ჯგუფს“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 სექტემბერი)[12].
- **თურქეთი საქართველოში რელიგიურ ექსპანსიას ახორციელებს.**
  - **კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო:** „უნდა შეიზღუდოს არა მარტო უკონტროლო მიგრაცია, არამედ ის დაფინანსება, ერთგვარი პროზელიტიზმი, რომელსაც ეწევიან სხვადასხვა ქვეყნებში, პირველ რიგში, თურქეთი” (საზოგადოებრივი მაუწყებელი, პრეზიდენტის არჩევნები 2018, 9 ოქტომბერი)[13].

1.4. შუღლის გაღვივება

შუღლის გამაღვივებელი ორი განცხადება, “ქართული ოცნების” მხარდაჭერილმა პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა. წინასაარჩევნოდ დაგეგმილი ღინისძიებებისას, ეთნიკურად სომეხ მოსახლეობასთან შეხვედრისას მან ორმაგი მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტზე ისაუბრა და ისტორიული კონფლიქტის მქონე ერების წარმომადგენლების თანამედროვე უფლებრივი მდგომარეობა ერთმანეთს შეადარა. სალომე ზურაბიშვილმა ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებს, თურქებისგან განსხვავებით აქამდე არ ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ საქართველოს მოქალაქეობა:

- **სალომე ზურაბიშვილი, “ქართული ოცნების” მხარდაჭერილი კანდიდატი:** „წინა პრეზიდენტი, სახელს არ ვახსენებ, ანიჭებდა საქართველოს მოქალაქეობას თურქ მოქალაქეებს, რომლებიც ჩამოსული იყვნენ ბათუმში და არაფერი აკავშირებდათ საქართველოსთან, თქვენ კი არ მოგცათ მოქალაქეობა" (რეზონანსი, 15 ოქტომბერი).

[11] https://www.myvideo.ge/v/3667084

[12] https://www.myvideo.ge/v/3668590

[13] https://www.myvideo.ge/v/3688486

1.5. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები ძირითადად ისლამოფობიური შინაარსის იყო და მიგრანტებს უკავშირდებოდა:

- **კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო:** „მუსლიმი მიგრანტები საქართველოსთვის გაცილებით უფრო დიდ და მასშტაბურ საფრთხეს წარმოადგენენ, ვიდრე ირანელის მიერ ქართველი ქალის გაუპატიურება შეიძლება იყოს“ (ასავალ-დასავალი, 3 – 9 სექტემბერი).
- **გიორგი ანდრიაძე, პრეზიდენტობის კანდიდატი:** „ნეტამც ასე იყოს და მათი [ლაზების] რიცხვი იმდენი იყოს, რამდენ ურჯულოსაც მისცეს საქართველოს მოქალაქეობა და გაურკვეველ პიროვნებას... [მიხეილ სააკაშვილი] ორი ხელით აწერდა, მოქალაქეობებს ურიგებდა მარჯვნიდან და მარცხნიდან, 45 000 ხმა ამ საეჭვო რელიგიური აღმსარებლობის, მათ შორის ფუნდამენტალური აღმსარებლობისა, სწორედ მათ უდევთ ჯიბეში (ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 სექტემბერი)[14]“.

1.6. ჰომოფობია

კანდიდატემა შემდეგი ჰომოფობიური გზავნილები გაავრცელეს:

- ლგბტ თემის მიმართ სოლიდარობის გახატვა მიუღებელია.
  - **კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო:** „...ეს ქმედება [ლგბტ თემის მხარდაჭერა], ჩემი აზრით, სამარცხვინოა. გურამ კაშიას არც ვიცნობ, მაგრამ მას ვერც ხელს ჩამოვართმევ და ვერც ჭიქას ავწევ მასთან ერთად“ (ასავალ-დასავალი, 17-23 სექტემბერი).
- დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას/ნარკომანიას.
  - **შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:** "დღეს უკვე დასავლეთში ეს საკითხი სადამდე მივიდა ვხედავთ, [ჰომოსექსუალობა] ამოიღეს იმ რეესტრიდან, როგორც დაავადება და უკვე მიდის ბრძოლა იმისათვის, რომ ეს ოჯახებად დააკანონონ, შვილის აყვანის უფლება მიცენ და სხვა და სხვა. დაახლოებით იგივე პროცესები იწყება გარკვეული საერთაშორისო ძალების მიერ მსოფლიოში, რო აი ეს მორფიუმი და ეს ნარკოტიკები გადააქციონ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებად" (იბერია, თავისუფალი სივრცე, 17 სექტემბერი)[15].
  - **კახაბერ ჭიჭინაძე, პრეზიდენტობის კანდიდატი:** „მან [სერგი კაკაჩია - 2018 წლის 17 მაისს ანტიჰომობიურ აქციაზე თავს დაესხა ლგბტ თემის წარმომადგენელს] არა პიროვნებას გაარტყა

[14] https://www.myvideo.ge/v/3668561

[15] https://www.myvideo.ge/v/3672032

სილა, არამედ უზნეობას გაარტყა სილა, მან გაარტყა იმ პროცესებს, რაც თავზე არის მოხვეული… და ევროპასაც თუ უნდა საქართველო, კეთილი ინებოს და მიიღოს ჩვენი წესებით, ჩვენი ხასიათით, ჩვენი ადათ-წესებით. იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ქართველები და არ ვართ არც ევროპელები და არც აზიელები“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი, პრეზიდენტის არჩევნები 2018, 9 ოქტომბერი)[16].

- ჰომოსექსუალობა და ნარკომანია მიუღებელია ქართული იდენტობისთვის.
  - **გიორგი ანდრიაძე, პრეზიდენტობის კანდიდატი:** „საქართველო რომ ნარკოტიკული საშუალებების მწარმოებელ ქვეყნად იქცეს, საქართველო ბარდელად იქცეს და ლგბტ-ს დროშები ფრიალებდეს კავკასიაში, ქართველი ადამიანი ამის ღირსი არის?!” (ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 სექტემბერი)[17].

2. პოლიტიკური პარტიების მიერ გაკეთებული დისკრიმინაციული განცხადებები

პოლიტიკური პარტიებიდან სიძულვილის ენის მხრივ პრორუსული პარტია “პატრიოტთა ალიანსი” ლიდერობს (30), რომელსაც მოსდევს “ქართული დასი” (13). მმართველი პარტიის “ქართული ოცნების” წარმომადგენელთა მხრიდან 5 დისკრიმინაციული კომენტარი გაკეთდა, ხოლო ოპოზიციური ნაციონალური მოძრაობის მხრიდან 4.

[16] https://www.myvideo.ge/v/3688486

[17] https://www.myvideo.ge/v/3668600

დიაგრამა 3. სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია პოლიტიკური პარტიების და ტიპოლოგიის მიხედვით

2.1. ქსენოფობია და ანტიმიგრანტული გზავნილები

პარტიების ქსენოფობიური გზავნილები ძირითადად მიგრაციის წინააღმდეგ იყო მიმართული:

- საქართველო მიგრაციისგან და გარკვეული კატეგორიის ხალხისგან დაუცველია.
    - **მიხელი სააკაშვილი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა:** „თურქეთიდანაც და სხვა ქვეყნებიდანაც შემოყარეს და შემოვიდა ყველა, ვისაც არ ეზარება იმიტომ, რომ ყველა კონტროლი

მოხსნილია. ამ მხრივ მართლაც მორღვეულია ჩვენი საზღვრები ივანიშვილის დროს“ (რუსთავი 2, კურიერი, 3 ოქტომბერი)[18].

- **ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** “საქართველო არის, რუსულად ვიტყვი, პრახადნოი დვორ, სადაც ყველას შეუძლია შემოვიდეს, სადაც ყველას შეუძლია შემოეხეტოს და არავინ არ იცის რა ხალხი შემოდის, ვინ არის, საიდან, რა ჯურის” (ობიექტივი, ღამის სტუდია, 2 სექტემბერი)[19].

- სახელმწიფომ მიგრანტების სეგრეგაცია უნდა მოახდინოს.
  - **ილია წულაია, ქართული ოცნება:** "...ჩვენ თავს დავიცავთ არასასურველი მიგრაციისგან, აქ ჩამოვა არა სამუშაოს მაძიებელი უცხოელი, არამედ ფინანსურად ძლიერი უცხოელი… ახალი ცვლილებები ჩვენთან ჩამოიყვანს ისეთ უცხოელებს, რომლებიც შექმნიან დოვლათს" (პრაიმ ტაიმი, 17 სექტემბერი).
  - **მიხეილ სააკაშვილი, ნაციონალური მოძრაობა:** “...ქართველების სამუშაო ადგილები წაიღეს ღარიბმა ირანელებმა, თურქებმა და სხვა უცხოელებმა. მდიდარი ინვესტორების ნაცვლად, რომელთაც ქართველები უნდა დაესაქმებინათ, მივიღეთ გაღლეტილი მიგრანტები, რომლებიც საკუთარ თავს ძლივს ასაქმებენ (საქინფორმი, 9 ოქტომბერი)[20].”

- ირანელები და თურქები ისტორიული ფაქტორების გამო განსაკუთრებით საშიშია.
  - **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „დღეს თურქების რაოდენობა, დღეს ირანელების რაოდენობა და ეს განსაკუთრებული ორი ხალხია, ბევრად აღემატება უსაფრთხო რაოდენობას, ბევრად. რატომ არის ეს ორი ხალხი განსაკუთრებულად საშიში? იმიტომ, რომ ეს ის ორი ხალხია, რომელიც მუდმივად, მუდმივად გაუთავებელ პრეტენზიებს აცხადებს საქართველოს ტერიტორიაზე” (ობიექტივი, ღამის სტუდია, 14 სექტემბერი).

- მიმდინარეობს ქვეყნის ფარული ანექსია.
  - **ემზარ კვიციანი, პატრიოტთა ალიანსი:** „ძალიან ბევრი მიწა იყიდება ჩვენს ქვეყანაში და ძალიან ბევრი უცხოელი შემოდის, ანუ შეიძლება ითქვას ფარული ანექსია მიდის ჩვენი ქვეყნის (ობიექტივი, საინფორმაციო, 20 სექტემბერი)[21].“

- დასავლეთი საქართველოში ეთნიკური ბალანსის შეცვლას გეგმავს.

---

[18] https://www.myvideo.ge/v/3683259

[19] https://www.myvideo.ge/v/3663367

[20] http://saqinform.ge/news/39528/bolo+2+wlis+ganmavlobashi+saqarTvelos+moqalaqeoba+miiRo+15+229+ucxoelma%2C+romelTa+umravlesoba+ruseTidan+aris.html

[21] https://www.myvideo.ge/v/3677542

- **ჯონდი ბაღთურია, ქართული დასი:** „საქართველოში იგეგმება ეთნიკური ბალანსის შეცვლა! სანამ ჩვენს შვილებს ანარკომანებენ, სანამ ჩვენს მოქლაქეებს უცხოეთში ყრიან ლუკმაპურის საშოვნელად, აქ პარალელურად მიმდინარეობს უცხოტომელთა მასობრივი ჩამოსახლება! ანგელა მერკელის[22] ვიზიტის მიზანიც გაცხადდა - საქართველოში 200 ათასი მიგრანტი უნდა ჩამოასახლონ! (ასავალ-დასავალი, 10 -16 სექტემბერი).

2.2.თურქოფობია

თურქოფობიულ გზავნილებს ძირითადად "პატრიოტთა ალიანსი" ავრცელებდა:

- **თურქეთი საქართველოს მტერია.**
  - **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „ხშირად მისაუბრია, რომ თურქეთი არის ერთ-ერთი სერიოზული მტერი საქართველოსი, რომელიც დღესაც აგრძელებს ფიქრს არა მხოლოდ აჭარის მიტაცებაზე არამედ, სხვა ქვეყნების მიტაცებაზეც" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 11 ოქტომბერი)[23].
- **თურქებს ოკუპირებული აქვთ საქართველო.**
  - **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „ იკარგება ყველაფერი, ბატონობს თურქი, ბატონობს, გაივსო თურქეთის აგენტურით მთელი აჭარა (ობიექტივი, ღამის სტუდია, 14 სექტემბერი)[24]."
- **თურქეთი ეკონომიკურ ექსპანსიას ახორციელებს.**
  - **დავით თარხან-მოურავი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:** „[თურქეთში] ჩვენგან გადის დაახლოებით, 2 მილიარდი ყოველ წლიურად და შემოდის 300, ეხლა 400 მილიონი. ჩვენ ხარჯზე ცხოვრობენ ისინი… ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც საქართველოს გაათავისუფლებს აი, ამ ყველა უცხო თესლისგან (ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 სექტემბერი)[25]".

---

[22] მითუბის დეტექტორი "ინფორმაცია, თითქოს მერკელმა საქართველოს სირიელი ლტოლვილების მიღება მოსთხოვა, ტყუილია", 11 სექტემბერი, 2018. http://mythdetector.ge/ka/myth/inpormatsia-titkos-merkelma-sakartvelos-sirieli-ltolvilebis-migheba-mostkhova-tquilia

[23] https://www.myvideo.ge/v/3688002

[24] https://www.myvideo.ge/v/3672146

[25] https://www.myvideo.ge/v/3678279

2.3. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია ძირითადად ისლამოფობიური ხასიათის იყო და "პატრიოტთა ალიანსს" ეკუთვნოდა, თუმცა ამავე პარტიის მხრიდან კათოლიკების წინააღმდეგ გაკეთებულ კომენტარებსაც ვხვდებით.

- ისლამოფობია.
  - **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „საქართველოში შეიქმნა მუსლიმანთა უმაღლესი სამმართველო, რომელიც ქართველი მუსლიმანებისთვის ხელმძღვანელი ორგანოა. დაახლოებით ისეთივე, როგორც საპატრიარქო... ესე იწყება ქვეყნის დაქუცმაცება, ეს თეორია თურქული თეორიაა და ტარდება ყველა ქვეყანაში, სადაც თურქეთსა აქვს პრეტენზიები და ახლა ქართველი მუსლიმანების საყურადღებოდ ვლაპარაკობ, რომ ეს გზა არის დაქუცმაცების გზა (ობიექტივი, ღამის სტუდია, 11 ოქტომბერი)[26]".
- კათოლიკების წინააღმდეგ.
  - **ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:** "კათოლიკური ეკლესია ჩვენთან სტუმარია, რომელსაც არც არავინ ავიწროვებს, არც არავინ ებრძვის, არც ვინმე უშლის ხელს, მაგრამ ეს სტუმარი, ჯუზეპე პაზოტოს სახით, მართლმადიდებლურ ეკლესიას საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივის და თხოვს იგივე უფლებებს, რაც მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს...პატივისცემით შეგახსენებთ, რომ კათოლიკეები საქართველში მოსახლეობის 0,5%-ია (მარშალპრესი, 2 აგვისტო)[27]".

2.4. ჰომოფობია

პარტიებიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური კომენტარი "ქართულ დასს" (ეკუთვნის), ხოლო მმართველი პარტიის შემთხვევაში ანგარიშში მოხვდა ყვარლის მერის და "ქართული ოცნების" ყვარლის ორგანიზაციის თავმჯდომარის როსტომ სესიაშვილის ჰომოფობიური ფეისბუქ პოსტი, რომელიც მან 2 ოქტომბერს საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. კერძოდ, ყვარლის მერმა რუსთავი 2-ის თოქ-შოუ „არჩევანის" ჩანაწერი გააზიარა, სადაც გადაცემის წამყვანს გიორგი გაბუნიას სტუმრად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ჰყავდა. ყვარლის

[26] https://www.myvideo.ge/v/3689369

[27] https://marshalpress.ge/archives/189870

მუნიციპალიტეტის მერმა ვიდეო მასალას ჰომოფობიური და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი შემდეგი კომენტარი დაურთო:

> **როსტომ სესიაშვილი, ყვარლის მერი:** „ჩაუტარა, ჩაუტარა (ბატონ/ქალბატონ) გაბუნიას."



პოლიტიკური პარტიები შემდეგ ჰომოფობიურ გზავნილებს ავრცელებდნენ:

- **რელიგიური იდენტობა vs. სექსუალური იდენტობა.**
  - **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „მათი [ნაციონალური მოძრაობის] იდეოლოგია იყო: „არა რწმენას", „არა სამშობლოს", „არა ეროვნებას" და ბოლოს ჰქონდათ „არა სქესს", რომ არ უნდა იყოს მამაკაცი მამაკაცი. ჩვენ ვიძახდით პირიქით,

„კი სამშობლოს“, „კი რწმენას“, „კი ეროვნებას“, კაცმა კაცობა შეინარჩუნოს და მანდილოსანმა მანდილი“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 სექტემბერი)[28].

- ჰომოსექსუალობა=პროსტიტუციას/ნარკომანიას.
  - **ემზარ კვიციანი, პატრიოტთა ალიანსი:** „არა პროსტიტუციას, არა ნარკომანიას და არა ლგბტ პროპაგანდას!“ (ასავალ-დასავალი, 24-30 სექტემბერი).
  - **გიგლა ბარამიძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** „მარიხუანას ლეგალიზებას მალე გაცილებით მძიმე ნარკოტიკების დაკანონება მოჰყვება. მერე დაკანონდება ერთნაირსქესიანთა ქორწინება“(ასავალ-დასავალი, 6-12 აგვისტო).

2.5. რასიზმი

ერთადერთი რასისიტული განცხადება მმართველი პარტია “ქართული ოცნების” წარმომადგენელმა, გორის მერმა კონსტანტინე თავზარაშვილმა მაშინ გააკეთა, როცა ის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების საკითხს წინა ხელისუფლებას აბრალებდა:

- **კონსტანტინე თავზარაშვილი, ქართული ოცნება გორის მერი:** „კონდოლიზა რაისი იყო ჩამოსული, ზანგი რო იყო“ (იმედი, ქრონიკა, 9 ოქტომბერი[29]).

2.6. გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

მარშალპრესი, 10 აგვისტო, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალაინსი: "ესეც [სახალხო დამცველის განცხადება ტერმინ “ოჯახის უფროსის” დისკრიმინაციული ბუნების შესახებ] ქართველი მამაკაცის დაკნინების მცდელობაა, რასაც ბოლო წლებში მიზანმიმართული კამპანიის სახე მიეცა. ამ ფონზე, რაც მეტი აქტიური ქალბატონი აღიმაღლებს ხმას და დაიცავს მისი მეუღლის, როგორც ოჯახის უფროსის ღირსებას, ცუდი არ იქნება... ესენი მალე კანონპროექტს შემოგვთავაზებენ,- მამაკაცმა იმშობიაროს, ქალს დრო არა აქვს და იზღუდება მისი უფლებაო. წადით, გენაცვალე, გადასახლდით სხვა კუნძულზე და იქ დადგით თქვენი ექსპერიმენტები. ჩვენ მოგვწონს ის, რაც გვაქვს[30]!...”

[28] https://www.myvideo.ge/v/3678231

[29] https://www.imedi.ge/ge/video/28871/goris-meris-skandaluri-gantskhadeba

[30] http://marshalpress.ge/archives/190925

3. სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია პრეზიდენტობის კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ

მონიტორინგის პერიოდში პრეზიდენტობის კანდიდატების მიმართ 11 დისკრიმინაციული კომენტარი გაკეთდა, რომელთაგან ყველაზე მეტი (5) მმართველი პარტიის მხარდაჭერილ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს ეხებოდა, 3 "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", 2 - "ევროპულ საქართველოს" და 1 - "გირჩის" საპრეზიდენტო კანდიდატს ზურაბ ჯაფარიძეს.

დიაგრამა 4. სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საპრეზიდენტო კანდიდატების და პოლიტიკური პარტიების მიმართ ტიპოლოგიის მიხედვით



3.1. სალომე ზურაბიშვილი - "ქართული ოცნების" მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატი

სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებებიდან 2 მის რელიგიურ იდენტობას შეეხებოდა, 2 მის მიმართ ძალადობის წახალისებას ახდენდა, 1 შემთხვევაში კი გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია იკვეთებოდა.

- **რელიგიური იდენტობა**.

  - **მეუფე პეტრე, ჭყონდიდის მეტროპოლიტი:** “მათ [კათოლიკე მისიონერებს] ქართველმა ხალხმა დასავლეთში, გურიაში, სამეგრელოში "ფრანგული", "დაფრანგული" უწოდა ანუ გაუკუღმართებული, წამხდარი, მათ აზროვნებას. და აი ჩვენ „დაფრანგული" ქალბატონი [სალომე ზურაბიშვილი] თავისი „დაფრანგული" აზროვნებით ვერ მოგვიტანს კეთილდღეობას" (რუსთავი 2, კურიერი, 17 სექტემბერი)[31].
  - **ბესო ბარბაქაძე, ჟურნალისტი:** "ამბობენ, ქალბატონი სალომე [ზურაბიშვილი] აღმსარებლობით კათოლიკე-ქრისტიანიაო და მართებულია თუ არა მართლმადიდებლურ ქვეყანაში კათოლიკეს არჩევა პრეზიდენტად, თვითონ განსაჯეთ" (საქართველო და მსოფლიო, 15 აგვისტო)[32].
- **ძალადობის წახალისება**.

  - **მოქალაქე:** "რავა ვეთანხმები?1 კი არა, ტყვიაა შუბლში მისაცემი მაგისთვის [სალომე ზურაბიშვილი]. რას ქვია ვეთანხმები? როდის დაიწყო საქართველომ ეს ომი?" (რუსთავი 2, არჩევანი, 18 სექტემბერი)[33].
  - **რუსთავი 2, არჩევანი, 18 სექტემბერი, მოქალაქე:** "სალომეს [ზურაბიშვილს] უნდა ესროლო ტყვია" (რუსთავი 2, არჩევანი, 18 სექტემბერი)[34].
- **გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია**.

  - **გიორგი შენგელაია, რეჟისორი:** „მერე, გენაცვალე, საქართველოში როგორ შეიძლება ქალი სათავეში?! ეგ არის თანამედროვე, ვითომ ლიბერალური მიდგომა დასავლეთში - იმათ ოჯახებს შეხედეთ - ქალები სათავეში არიან, იმათ ქმრებს კიდევ ბავშვები უჭირავთ ხელში. ეგ არ არის სწორი! მე ბუნებით კონსერვატორი ვარ! ამ ზურაბიშვილმა არაფერი იცის. სალომე, ფაქტობრივად, დაძირულია! (ინტერპრესნიუსი, 30 აგვისტო)[35]”.

---

[31] http://www.rustavi2.ge/ka/video/35865?v=2

[32] https://bit.ly/2nK8IVs

[33] http://rustavi2.ge/ka/video/35909?v=2 (1:46:55)

[34] http://rustavi2.ge/ka/video/35909?v=2 (1:46:55)

[35] http://www.interpressnews.ge/ge/politika/509916-giorgi-shengelaia-saprezidento-kampaniis-dros-upirvelesad-imas-vetyvi-khalkhs-rom-qamrebi-moitciron-nakhevari-saqarthvelo-ghipiania.html?ar=A

3.2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მიმართ ძალადობის წამახალისებელი 3 განცხადებიდან, 2 საზოგადოების წარმომადგენლებს, ხოლო ერთი, გაზეთ “ასავალ-დასავალის” ჟურნალისტს ეკუთვნის:

- **დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** „მოკლედ, ნაცისტებში [ნაციონალურ მოძრაობაში] - ამ მკვლელების, საქართველოს გამყიდვლებისა და უღირსების ხროვაში - ერთი კაციც არ აღმოჩნდა, ვინც შეშლილ გარყვნილს - სააკაშვილს ტყვიას თუ არ ესროდა, ბოკალს მაინც ჩაარტყამდა, ან იმ მასიურ საფერფლეს, რომლითაც ერთხელ საწყალ ვახტანგ რჩეულიშვილს გაუტეხეს თავი, ხოლო მეორედ ზურაბ ჟვანია გააგორეს“ (ასავალ-დასავალი, 27 აგვისტო - 2 სექტემბერი).

3.2. ევროპული საქართველო და “გირჩის” საპრეზიდენტო კანდიდატი ზურაბ ჯაფარიძე

ძალადობის წამახალისებელი ორი განცხადებიდან ერთი მმართველი პარტია “ქართული ოცნების” წარმომადგენელს, ხოლო მეორე “პარტიოთთა ალიანსის” წევრებს ეკუთვნოდათ და ორივე “ევროპული საქართველოს” და ერთი კი ნაწილობრივ “გირჩის” წინააღმდეგ იყო მიმართული.

- **ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება**: „მე არ მეკადრება და ჩემს ადამიანურ ბუნებას არ შეჰფერის, თორემ ესენი თავში ჩარახუნებას ნამდვილად იმსახურებენ… პირდაპირ გეუბნებით, სიამოვნებით გავულაწუნებდი ბოკერიასაც და ნებისმიერ ნაცს, რომელიც გველის წიწილობას არ იშლის!... რაღაც ჯებირები რომ არ არსებობდეს სიამოვნებით გავხევდი შუაზე!“ (ასავალ-დასავალი, 24-30 სექტემბერი).
- **ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიღვიძოს ივერიამ და ეს ხალხი [გიგა ბოკერია და ზურა ჯაფარიძე] არის მართლა ჩასაქოლი. ვირზე უკუღმა უნდა შესვა და უნდა ჩამოატარო მართლა ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ ფურთხებით და ქვების ჩაქოლვით“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 5 აგვისტო)[36].

[36] https://www.myvideo.ge/v/3647768